

მდინარე ალაზნის წყლის რესურსების შეფასება და წყალსამეურნეო გამოყენება

ბონდო ფანჩვიძე

ელ-ფოსტა: bondo.panchvidze648@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179, საქართველო

მდინარე ალაზანი და მისი შენაკადები ხასიათდებიან დიდი ვარდნითა და წყალუბვობით, რაც შესაძლებელს ხდის მის ინტენსიურ გამოყენებას. წყალსამეურნეო თვალსაზრისით პირველ ადგილზე სარწყავი სისტემებია, შემდეგ ჰიდროელექტროენერჯია, მოსახლეობის წყალმომარაგება და სხვა. ამრიგად, მდინარე ალაზნისა და მისი შენაკადების წყლის რესურსებს დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო სფეროში მოსახლეობის კეთილდღეობისა და ეკონომიკის განვითარებაში. ამ მიზნით კი აუცილებელია მდინარე ალაზნის აუზში წყლის რესურსების შეფასება თანამედროვე პრობლემატიკის გათვალისწინებით.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული წყლის ჩარჩო დირექტივის ხელშეკრულების თანახმად საქართველო ვალდებულია ხელი შეუწყოს მდინარეთა აუზებში წყლის რესურსების გამოყენების სტრატეგიულ დაგეგმვას.

წყლის რესურსების ეფექტური მართვისათვის შეფასებულია მდინარე ალაზნის ჰიდროლოგიური რეჟიმი. ნაშრომში განხილულია საშუალო წლიური ხარჯები, ჩამონადენის შიდაწლიური განაწილება, მაქსიმალური და მინიმალური ხარჯები და გაანგარიშებულია წყლის რესურსების რაოდენობრივი მახასიათებლები წყალმომარების უზრუნველყოფისათვის. ასეთი მიდგომით მარტივია შეფასდეს მდინარე ალაზნის წყლის რესურსები და რაციონალურად მოხდეს მისი განაწილება სხვადასხვა წყალსამეურნეო კომპლექსებს შორის.